ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:№87. 8724221001
თარიღი:08/08/2024

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის ოქმი № 8

ქ. ახმეტა 7 აგვისტო, 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: გ. ქიბროწაშვილი, თ. ყეინიშვილი, ხ. იჩუაიძე,

ლია ვალაშვილი,თ.ბორჩაშვილი,გ. მამუჩარაშვილი,

კ.მამულაშვილი, ე. ბაღაკაშვილი,ზ.უძილაური,

რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი,გ.ონიაშვილი,

ბ. კაიშვილი, დ.ავაზაშვილი, ზ. ფიცხელაური.

სხდომა გაიხსნა 12 ^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

3. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

4. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოების, სამართალდარღვევებისას გამოსაყენებელი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

5. **„ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

6. **,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 დეკემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

7. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 06 მარტის N8 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესხებ;**

/მომხსენებელი - ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

8. **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - ნინო არაბული/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტებს.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №16 : „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო

გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 05 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დადგენილების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №17 : „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4**

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული უფლებამოსილი სუბიექტი.

2.ამ დადგენილებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემას ნერგავს და დადგენილებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის მოკრებას ახორციელებს საამისოდ შერჩეული შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტი გადახდის სისტემის მოწყობის ფარგლებში, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მგზავრებისთვის, მათ შორის ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მგზავრებისათვის, სამგზავრო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას.“.

2. დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5**

1. სამგზავრო პლასტიკური ბარათის დაზიანების ან დაკარგვისას, თუ ორივე შემთხვევაში წარმოიშვა ახალი ბარათის გაცემის აუცილებლობა, ბარათის აღდგენის თხოვნით ბარათის გამცემს მიმართავს ბარათის კანონიერი მფლობელი და ბარათის აღდგენისთვის მასვე ეკისრება ბარათის გამცემის ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადახდა.

2. მგზავრი ვალდებულია მგზავრობის დაწყებისთანავე ელექტრონული გადახდის საშუალებით (მათ შორის, თავისი კუთვნილი პერსონიფიცირებული, შეღავათიანი მგზავრობისთვის განკუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან ელექტრონული გადახდის საშუალებით) გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა, რაც გამოიწვევს სამართალდამრღვევი პირის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას.

3. ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირთა კატეგორიისთვის განკუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მიერ მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემა, რასაც მოჰყვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ბარათის სამგზავრო ბილეთის აღება, ექვემდებარება სამართალდამრღვევი პირის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირის სამგზავრო პლასტიკური ბარათის დაბლოკვის შესახებ.

4. ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვა ხორციელდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვას 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათი ექვემდებარება უფასო განბლოკვას.

5. ამ დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტი (ბარათის გამცემი) უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №18 : „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს:„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოების, სამართალდარღვევებისას გამოსაყენებელი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N11 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზი.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოების, სამართალდარღვევებისას გამოსაყენებელი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N12 დადგენილება. მეორე მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 19:„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოების, სამართალდარღვევებისას გამოსაყენებელი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ხაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის N12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მოისმინეს: „ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას მგზავრის მიერ უბილეთო მგზავრობის შემთხვევაში დაჯარიმების უფლება აქვს ზედამხედველობის სამსახურს. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით აღნიშნული უფლებამოსილება ენიჭება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობის შემთხვევების გამოსავლენად აღნიშნული უფლებამოსილების იმ სამსახურისთვის მინიჭება, რომელიც უფრო ეფექტურად განახორციელებს მას.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 2 მუხლისგან.

პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ცვლილება შევა დადგენილების მეორე მუხლში, სადაც ზედამხედველობის სამსახურისთვის გათვლისწინებული მუხლებიდან მოხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის ამოღება.

მე-2 პუნქტის მიხედვით დადგენილებას ემატება 2^1 მუხლი, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს მიენიჭება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება.

მე-3 პუნქტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილების მე-3 მუხლში, სადაც საუბარია ოქმის შედგენის უფლებამოსილებაზე, სადაც ანალოგიურად 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის ამოღება მოხდება ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებებიდან.

მე-4 პუნქტით მიხედვით ცვლილება შევა დანართი N1-ის მე-2 მუხლის 1 პუნქტში, სადაც მიეთითება, რომ კეთილმოწყობის სამსახურს აქვს საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება.

მე-5 პუნქტის მიხედვით დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატება „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის განხილვაზე უფლებამოსილია კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი.

მეორე მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №20:„ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მოისმინეს: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 დეკემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას ცვლილება **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 დეკემბრის N57 განკარგულებაში** და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით ,,1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული დანართის შესაბამისად.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №40 : ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 06 დეკემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 06 მარტის N8 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესხებ;

/მომხსენებელი - ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას ცვლილება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 06 მარტის N8 განკარგულების დანართში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 41 : ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 06 მარტის N8 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის

შესხებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 16 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 42 : ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:40 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი